



საფუძველი: საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლი.

## საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საფინანსო-ანალიტიკური სამსახური

### ა ნ გ ა რ ი შ ი

2024 წლის პირველი იანვრიდან 2024 წლის 10 დეკემბრის ჩათვლით სსიპ - საფინანსო-ანალიტიკურ სამსახურში (შემდგომში - სამსახური) საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის თაობაზე შემოვიდა 3 (სამი) მოთხოვნა. 2 (ორი) მოთხოვნის შემთხვევაში, სამსახურის უფროსის მოადგილის გიორგი ბაბაკიშვილის მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილებები მოთხოვნების სრულად დაკმაყოფილების შესახებ, ხოლო 1 (ერთი) მოთხოვნის შემთხვევაში მიმდინარეობს შესაბამისი ადმინისტრაციული წარმოება. შესაბამისად, არცერთი გადაწყვეტილება საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნაზე უარის თქმის შესახებ სამსახურში არ მიღებულა. ამასთან, საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის შესახებ მოთხოვნა სამსახურში არ შემოსულა.

სამსახურში ფუნქციონირებს საქმისწარმოების ავტომატიზებული სისტემა (eDocument), შესაბამისად, საჯარო მონაცემთა ბაზის შექმნა აღნიშნულ პროგრამაში ხორციელდება ავტომატურ რეჟიმში.

სამსახურში პერსონალური მონაცემების დამუშავება (მათ შორის, პერსონალური მონაცემების შეგროვება, შენახვა ან/და სხვისთვის გადაცემა) ხორციელდება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საართველოს კანონისა და 2024 წლის 26 ნოემბრის „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საფინანსო-ანალიტიკური სამსახურის პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის დამტკიცების შესახებ“ სამსახურის №64 ბრძანებით განსაზღვრული წესითა და საფუძვლებით.

სამსახურში დასაქმებულების მიერ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნების დარღვევისა და პასუხისმგებელი პირისათვის დისციპლინური სახდელის დადების ფაქტს ადგილი არ ჰქონია.

სამსახურს მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის დამუშავებასა და გაცემასთან დაკავშირებით ხარჯები არ გაუწევია. ამასთან, ვინაიდან საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნაზე უარის თქმის შესახებ სამსახურში გადაწყვეტილება არ მიღებულა და შესაბამისად, არ გასაჩივრებულა, სამსახურს გადაწყვეტილების გასაჩივრებასთან დაკავშირებული, მათ შორის, მხარის სასარგებლოდ, თანხები არ გადაუხდია.

